ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 19 (32) 31 ოქტომბერი 1950 წ.


## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი


144. ქართველი ალპინისტების მიერ შხელდა-უშბის მწვერვალების ტრავერსის განხორციელების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

145. საქართველოს სსრ ჩხარის რაიონის ცენტრის სოფელ ჩხარიდან სოფელ თერჯოლაში გადატანისა და ჩხარის რაიონის თერჯოლის რაიონად გადარქმევის შესახებ.

146. გორის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

147. ახალციხის რაიონის საყუნეთის სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

148. ცაგერის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

149. ამხ. ამხ. ა. ვ. ფალავანდიშვილისა და ა. მ. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

150. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლენინის ორდენის რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობის აღდგენის სამუშაოებზე.

151. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ.

152. ქარ ელის რაიონის ურბნისის სასოფლო საბჭოდან სოფელ რუისის-წინუბნის გამოყოფისა და რუისის სასოფლო საბჭოს სოფელ რუისთან შეერთების შესახებ.

153. ახმეტის რაიონის დართლოს სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

154. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის ჩასავლის სასოფლო საბჭოს სოფელ კვაისის დაბად გარდაქმნისა და კვაისის სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ.

155. საქართველოს სსრ სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



156. საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

157. საქართველოს სსრ ყაზბეგის რაიონის ყაზბეგის სასოფლო საბჭოდან სოფელ ფანშეტის გამოყოფისა და სიონის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

158. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ამიერკავკასიის რკინიგზის ზოგიერთი სადგურისა და გაჩერების პუნქტის გადარქმევისა და სახელწოდების დაზუსტების შესახებ.

159. სამთაბარო ადგილებზე მყოფი მოსახლეობის საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის წესის შესახებ.

160. საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

**144. ქართველი ალპინისტების მიერ შხელდა-უშბის მწვერვალების ტრავერსის განხორციელების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

შხელდა-უშბის მწვერვალების ტრავერსის ბრწყინვალედ განხორციელებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. გვარლიანი მაქსიმე დავითის-ძე—ძირითადი ჯგუფის მონაწილე,
2. ზურებიანი გოჯი ლუარსაბის-ძე—ძირითადი ჯგუფის მონაწილე,
3. მარი ივანე გიორგის-ძე—ძირითადი ჯგუფის ხელმძღვანელი,
4. ნადარაია ფრიდონ ვლადიმერის-ძე—დამხმარე ჯგუფის მონაწილე,
5. ნავერიანი ედისონ სილიბისტროს-ძე—რადისტი,
6. რატიანი დავით მაქსიმეს-ძე—დამხმარე ჯგუფის მონაწილე,
7. ფალიანი დავით ჩხინთალდის-ძე—დამხმარე ჯგუფის მონაწილე,
8. ქურდიანი მარიამ ბესარიონის ასული—ტრავერსის ხელისშემწყობი,
9. ჩართოლანი შოთა გაბრიელის-ძე—დამხმარე ჯგუფის მონაწილე,
10. ჩართოლანი ჭიჭიკო გაიოზის-ძე—ძირითადი ჯგუფის მონაწილე,
11. ხერგიანი ბესარიონ ბექაილის-ძე—დამხმარე ჯგუფის უფროსი,
12. ხერგიანი ბექნუ ბესარიონის-ძე—ძირითადი ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 31 აგვისტო.

**145. საქართველოს სსრ ჩხარის რაიონის ცენტრის სოფელ ჩხარიდან სოფელ თერჯოლაში გადატანისა და ჩხარის რაიონის თერჯოლის რაიონად გადარქმევის შესახებ**

გადატანილ იქნას ჩხარის რაიონის ცენტრი სოფელ ჩხარიდან სოფელ თერჯოლაში და, რაიონის ცენტრის სახელწოდების შესაბამისად, ჩხარის რაიონს ეწოდოს თერჯოლის რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 5 სექტემბერი.

**146. გორის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

1. გამოეყოს ქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელი ფლავისმანი და მიეკუთვნოს ტყვიავის სასოფლო საბჭოს.

2. გამოეყოს ხურვალეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალი ხურვალეთი და მიეკუთვნოს შავშვების სასოფლო საბჭოს.

3. გამოეყოს შავშვების სასოფლო საბჭოს სოფელი ახალშენი და მიეკუთვნოს ქვემო ახალსოფლის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წლის 5 სექტემბერი.

**147. ახალციხის რაიონის საყუნეთის სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

1. გაუქმდეს ახალციხის რაიონის საყუნეთის სასოფლო საბჭო და სოფელი საყუნეთი მიეკუთვნოს ამავე რაიონის აგარის სასოფლო საბჭოს.

2. გამოეყოს საძელის სასოფლო საბჭოს სოფლები ორალი და ყულალისი და მიეკუთვნოს პამაჯის სასოფლო საბჭოს.

3. გამოეყოს წყრუთის სასოფლო საბჭოს სოფელი მიქელწმინდა და მიეკუთვნოს ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს.

4. გამოეყოს პამაჯის სასოფლო საბჭოს სოფელი წინუბანი და მიეკუთვნოს წყალთბილას სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 5 სექტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**148. ცაგერის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

1. გამოეყოს ცაგერის რაიონის ჩხუტელის სასოფლო საბჭოს სოფელი ლასხანა და შეუერთდეს დეხვირის სასოფლო საბჭოს;

2. გამოეყოს დეხვირის სასოფლო საბჭოს სოფელი ლესინდი, ხოლო უსახელოს სასოფლო საბჭოს სოფელი სპათაგორი და შეუერთდნენ ორბელის სასოფლო საბჭოს;

3. გამოეყოს ზუბის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩქუმი და შეუერთდეს წიფერჩის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 11 სექტემბერი.

**149. ამხ. ამხ. ა. ვ. ფალავანდიშვილისა და ა. მ. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ**

1. დაშვებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად ამხ. ამხ. აპოლონ ვლადიმერის-ძე ფალავანდიშვილი და ამბროსი მაქსიმეს-ძე ღლონტი.

2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა,**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 12 სექტემბერი.

**150. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლენინის ორდენის რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობის აღდგენის სამუშაოებზე**

ლენინის ორდენის რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობის აღდგენის საქმეში მთავრობის დავალების

ეროვნული ბიბლიოთეკა



წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბულაძე ვლადიმერ დავითის-ძე—მეავეჯე დურგალი.
2. აპოლონოვი დიმიტრი ივანეს-ძე—დურგალი.
3. არევაძე მინა სერგის-ძე —მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი.
4. არონიშიძე ვასილ კონსტანტინეს-ძე—დურგალი.
5. აფხაძე გრიგოლ ივანეს-ძე —საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე.
6. ბალდავაძე მიხეილ რაფაელის-ძე—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი.
7. ბენო ბენედიქტე რაფაელის-ძე—მხატვარი.
8. ბიზიკაშვილი ლევან ილიას-ძე—დამხმარე მუშა.
9. ბრატიშჩევი ვასილ ივანეს-ძე—II სამშენებლო ქარხნის მექანიკოსი.
10. ბუტენკო ივანე ნიკოლოზის-ძე – მექვაბე.
11. გეორხელიძე დავით ბესარიონის-ძე—I სამშენებლო ქარხნის დირექტორი.
12. გოგიაშვილი ზაქარია ალექსის-ძე—მებეტონე.
13. გოლუბკოვი ბორის ივანეს-ძე – ტრესტ „თბილმშენის“ VI სამშენებლო კანტორის მთავარი ინჟინერი.
4. გორგაძე ზაქარია სიმონის-ძე —მოქანდაკე.
15. გორდიაშვილი ალექსანდრე სტეფანეს-ძე—დურგალი.
16. გრიშჩენკო მიხეილ პროკოფის-ძე—ზეინკალი.
17. გუსევი ნიკოლოზ ულიანის-ძე—ზეინკალი.
18. დათუაშვილი გერონტი ბაგრატის-ძე—სპეცკანტორის ათისთავი.
19. დარჩია დომენტი კონსტანტინეს-ძე—ზეინკალი.
20. დიაჩენკო რობერტ გრიგოლის-ძე—მძერწავი.
21. ვართანოვი ვართან აკოპის-ძე —სპეცკანტორის უფროსი სამუშაოს მწარმოებელი.
22. ვარჩენკო გალინა დენისის ასული—დამხმარე ბრიგადის ბრიგადირი.
23. თევზაძე ალექსანდრე ალექსის-ძე—ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ მმართველი.
24. თორაძე ვალერიან ივანეს-ძე —მარელისის გრეხილი ავეჯის ქარხნის მთავარი მექანიკოსი.
25. ივანიანი იური არამის-ძე —I სამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



26. ივჩენკო ანატოლი დიმიტრის-ძე—სანტექნიკური კანტორის სამუშაოს მწარმოებელი.
27. იხაშვილი მიხეილ პავლეს-ძე —ინჟინერი, ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ სანტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი.
28. კერვალიშვილი ვასილ არტემის-ძე—დურგალი.
29. კლიმიაშვილი ალექსანდრე სამსონის-ძე—ინჟინერი, ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ ელექტროტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი.
30. კობახიძე ვლადიმერ იოსების-ძე—დურგალი.
31. კოლგენკო ალექსანდრე სიმონის-ძე—ინჟინერი, ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ მექანიკური ჯგუფის ხელმძღვანელი.
32. კოპაძე გიორგი ალექსის-ძე —II სამშენებლო ქარხნის დირექტორი.
33. ლაზარევი სტეფანე არტემის-ძე—ელექტრო-სამონტაჟო კანტორის უფროსი.
34. ლობჟანიძე მაქსიმე ლავრენტის-ძე—მებეტონე.
35. ლოიკო ივანე ივანეს-ძე —ტრესტ „თბილმშენის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.
36. ლომაური კონსტანტინე იოსების-ძე—ბრიგადირი-ზეინკალი.
37. ლომიძე სიმონ ირადიონის-ძე —მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დურგალი.
38. მაისურაძე ბორის ალექსანდრეს-ძე—მოალფრესკე.
39. მამუკაშვილი ალექსანდრე ვასილის-ძე—ზეინკა .
40. მასტიპანოვი ივანე ალექსანდრეს-ძე—ლითონის კონსტრუქციების მემონტაჟე.
41. მელია მიხეილ სიმონის-ძე —არქიტექტორი, ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელი.
42. მიზრახი სიმონ ლაზარეს-ძე —მოალფრესკე-ოსტატი.
43. ნაცვლიშვილი შოთა გაბრიელის-ძე—მებეტონე.
44. ნიკოლაიშვილი მარიამ როინისასული—მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა-გამკრიალებელი.
45. ოსიპოვი ალექსანდრე გიორგის-ძე—თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის ტექნიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



46. ოსიპოვი ბორის არტემის-ძე —მომვარაყებელი.
47. პაპავაძე ალექსანდრე გრიგოლის-ძე—ლითონის კონსტრუქციების მემონტაჟე.
48. პაპუნოვა ლიდა ვალერიანის ასული—მომვარაყებელთა ხელმძღვანელი.
49. პატრიკიანი ტიგრან ივანეს-ძე —ლითონის კონსტრუქციების მონტაჟის ბრიგადირი.
50. პოლუექტოვი სტეფანე მიხეილის-ძე—სადურგლო-მექანიკური საამქროს ოსტატი.
51. ჟუჟუნაშვილი იაგორ გრიგოლის-ძე—მომფარდაგებელი.
52. რომანოვსკი ივანე ვასილის-ძე—მეავეჯე დურგალი.
53. სერდიუკოვა ოლღა ვასილის ასული—II სამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინერი.
54. სიბრგ იან იუგანის-ძე —მეავეჯე დურგალი.
55. სხირტლაძე გიორგი ეპიფანეს-ძე—ელექტრომონტიორების ბრიგადირი.
56. ტკაჩენკო ნიკოლოზ ტიხონის-ძე – ლითონის კონსტრუქციების მონტაჟის ბრიგადირი.
57. ტოტოსაშვილი მაქსიმე მიხეილის-ძე—ლითონის კონსტრუქციების შემდუღებელი.
58. ტყეშელაშვილი შალვა ვიქტორის-ძე—მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის სადურგლო საამქროს უფროსი.
59. უგულავა გრიგოლ ამბაკოს-ძე —ელექტრო-სამონტაჟო კანტორის უფროსი სამუშაოს მწარმოებელი.
60. ქუთელია ბორის გრიგოლის-ძე – ზეინკალი.
61. ყვავილოვი ვასილ ბადალის-ძე —ბრიგადირი-მებეტონე-
62. შარიკაძე ვასილ ფილიპეს-ძე —ბრიგადირი-ზეინკალი.
63. შარიკაძე სევასტი მოსეს-ძე —მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დურგალი.
64. შილაკაძე კარლ გიორგის-ძე —მოქანდაკე.
65. შილოვი თედორე დიმიტრის-ძე—ზეინკალი.
66. ჩიკაშვილი ქეთევან გიორგის ასული—სპეცსამშენებლო კანტორის მთავარი ინჟინერი.
67. ჩიკვაიძე მიხეილ სიმონის-ძე —ტრესტ „თბილმშენის“ მმართველი.
68. ჩომახიძე გიორგი მიხეილის-ძე —ტრესტ „თბილმშენის“ მთავარი ინჟინერი.
69. ცინცაძე ტარიელ გიორგის-ძე —სპეცსამშენებლო კანტორის უფროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



70. ცისკარიძე არსენ ივანეს-ძე —მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორი.

71. ცოფურაშვილი გრიგოლ თევდორეს-ძე—სპეცკანტორის სამუშაოს მწარმოებელი.

72. წამალაშვილი ანდრია ალექსის-ძე—ელექტრომონტიორების ბრიგადირი.

73. წერეთელი კონსტანტინე ივანეს-ძე—თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის უფროსი.

74. ხარაშვილი ლევან ილიას-ძე —ტრესტ „თბილქალაქპროექტის" არქიტექტორი.

75. ჯაიანი რაჟდენ ლევანის-ძე —ტრესტ „თბილმშენის" VI სამშენებლო კანტორის უფროსი.

76. ჯანდიერი გიორგი კონსტანტინეს-ძე—ელექტრომონტიორი.

77. ჯინჭარაძე გიორგი დავითის-ძე—დურგალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 18 სექტემბერი.

**151. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები 1950 წლის 17 დეკემბერს კვირას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წლის 2 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**152. ქარელის რაიონის ურბნისის სასოფლო საბჭოდან სოფელ რუისის-წინუბნის გამოყოფისა და რუისის სასოფლო საბჭოს სოფელ რუისთან შეერთების შესახებ**

გამოეყოს ქარელის რაიონის ურბნისის სასოფლო საბჭოს სოფელი რუისის-წინუბანი და შეუერთდეს ამავე რაიონის რუისის სასოფლო საბჭოს სოფელ რუისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

**ქ. თბილისი.**
**1950 წ. 2 ოქტომბერი.**

**153. ახმეტის რაიონის დართლოს სასოფლო საბჭოს გაუქმებისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

1. გაუქმდეს ახმეტის რაიონის დართლოს სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები: დართლო, ჩიღო, დანო, ყვავლო, ქეშო და ფარსმა მიეკუთვნოს ამავე რაიონის ომალოს სასოფლო საბჭოს;
2. გამოეყოს ახმეტის სასოფლო საბჭოს სოფელი ქორეთი და მიეკუთვნოს მატნის სასოფლო საბჭოს;
3. გამოეყოს ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს სოფელი დედისფერულა და მიეკუთვნოს დუისის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

**ქ. თბილისი.**
**1950 წ. 2 ოქტომბერი.**

**154. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის ჩასავლის სასოფლო საბჭოს სოფელ კვაისის დაბად გარდაქმნისა და კვაისის სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ**

1. გამოეყოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის ჩასავლის სასოფლო საბჭოს სოფელი კვაისი და გარდაიქმნას დაბად;
2. შეიქმნას კვაისის სადაბო საბჭო ცენტრით დაბა კვაისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

**ქ. თბილისი.**
**1950 წ. 2 ოქტომბერი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**155. საქართველოს სსრ სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქებში შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 100 მცხოვრებისაგან; იმ სოფლებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1.000 კაცამდეა, ირჩევენ 9 დეპუტატს, ხოლო სადაც მოსახლეობა 3.500 კაცს აღემატება,—არა უმეტეს 35 დეპუტატისა.

2. წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 88 მუხლის სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 5 ოქტომბერი.

**156. საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოეყოს სამტრედიის რაიონის კულაშის სასოფლო საბჭოს სოფელი ლენინ-ხიბლარი და შეუერთდეს მელაურის სასოფლო საბჭოს სოფელს-ნინოშვილს.

2. გამოეყოს გამოჩინებულის სასოფლო საბჭოს სოფელი ზემო ნოღა, შეუერთდეს საჯავახოს სასოფლო საბჭოს სოფელს-ქვემო ნოღას და ეწოდოს სოფელი ნოღა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950წ. 13 ოქტომბერი.

**157. საქართველოს სსრ ყაზბეგის რაიონის ყაზბეგის სასოფლო საბჭოდან სოფელ ფანშეტის გამოყოფისა და სიონის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ყაზბეგის რაიონის ყაზბეგის სასოფლო საბჭოს სოფელი ფანშეტი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის სიონის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 13 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**158. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ამიერკავკასიის რკინიგზის ზოგიერთი სადგურისა და გაჩერების პუნქტის გადარქმევისა და სახელწოდების დაზუსტების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დასახლებული პუნქტების სახელწოდების შესაბამისად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ამიერკავკასიის რკინიგზის შემდეგ სადგურებსა და გაჩერების პუნქტებს ეწოდოს:

სადგურს ხარაგაულს—სადგური ორჯონიკიძე,
სადგურს გარდაბანს—სადგური გაჩიანი,
სადგურს ყარაიას—სადგური გარდაბანი,
სადგურს სანდარს—სადგური მარნეული,
სადგურს მიხა ცხაკაიას—სადგური ცხაკაია,
სადგურს ბათუმს—მისადგომს—სადგური ბათუმი—ნავსადგური,
სადგურს „კოდორ—ლესოზავოდს“—სადგური კოდორი,
ასაქცევს „გრებეშოკს“—ასაქცევი თხემი,
ასაქცევს ზვანდრიპშს—ასაქცევი შავწყალა,
ასაქცევს „პრიმორსკის—ასაქცევი სანაპირო,
ბაქანს „სტალინის სახელობის დასასვენებელ სახლს“—ბაქანი სინათლე,
ბაქანს გაგრა—სამგზავროს—ბაქანი წერეთელი,
ბაქანს 147 კლმ—ბაქანი ბალნაშენი,
ბაქანს აგარაკს—ბაქანი კალდახვარი,
ბაქანს „ბელაია რეჩკას“—ბაქანი თეთრწყალა,
ბაქანს 185 კლმ—ბაქანი ჭავჭავაძე,
ბაქანს „ციტრუსოვაიას“—ბაქანი ნარინჯოვანი,
ბაქანს „დაჩას“—ბაქანი აგარაკი,
ბაქანს ჭანდრის უბანს—ბაქანი ჭანდარი,
ბაქანს კინდღს—ბაქანი წყურგილი,
ბაქანს 83 კლმ—ბაქანი ცაგერა,
ბაქანს „კეროსინოპროვოდს“—ბაქანი ნავთსადენი,
ბაქანს 4 კლმ—ბაქანი მუხნარი.

2. დაზუსტდეს შემდეგნაირად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ამიერკავკასიის რკინიგზის ქვემოთ ჩამოთვლილი სადგურებისა და გაჩერების პუნქტების სახელწოდება:

სადგური ნოტანები—ნატანები,
სადგური „Дранды“—Дранда,
სადგური „Мюссеры“—Мусери,
სადგური „Бзыбь“—Бзипи“,
სადგური გუმბრინ—გუმბრინი,
სადგური ტყვიბული—ტყიბული,
სადგური საჩხერი—საჩხერე,
სადგური ახალი-დაბა—ახალდაბა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადგური აცხური—აწყური,
სადგური თეძმი—თეძამი,
სადგური იორა—იორი,
სადგური „Шулаверы“—Шулавери,
სადგური ეშერი—ეშერა,
სადგური „Тамыши“—Тамиши,
ასაქცევი უფლის-ციხე—უფლისციხე,
ბაქანი ჩაქვის-თავი—ჩაქვისთავი,
ბაქანი ცაიშიი—ცაიში,
ბაქანი „Ачадары“—Ачадари,
ბაქანი ახალი-სოფელი—ახალსოფელი,
ბაქანი ციხის-გვერდი—ციხისგვერდი,
ბაქანი ხიდის-თავი—ხიდისთავი,
ბაქანი კორსანი—კარსანი,
ბაქანი ვარდნეთი—ვარდგინეთი,
ბაქანი რუის-ბოლო—რუისბოლო,
ბაქანი სართაჭალა—სართიჭალა,
ბაქანი მაშპაარი—მაშნაარი,
ბაქანი ურიათ-უბანი—ურიათუბანი,
ბაქანი „Кумыси“—Кумиси.
ბაქანი აკვასკა—აკვასკე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 24 ოქტომბერი.

**159. სამთაბარო ადგილებზე მყოფი მოსახლეობის საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის წესის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ამომრჩევლები, რომლებიც სამთაბარო ადგილებზე იმყოფებიან თავიანთი რაიონის ტერიტორიის გარეთ, მონაწილეობას იღებენ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში დამოუკიდებელ საარჩევნო უბნებში, რომლებიც, როგორც გამონაკლისი, ეწყობა მათთვის საძოვრებზე.

საარჩევნო უბნები სამთაბარო ადგილებზე ეწყობა იქ, სადაც არის არა ნაკლებ 25 ამომრჩევლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ სამთაბარო ადგილებზე მყოფი ამომრჩევლები ხმას აძლევენ დეპუტატობის იმ კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან სათანადო საარჩევნო ოლქებში ამ ამომრჩეველთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების შემდეგი რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ საარჩევნო უბნები:

ა) ახმეტის, დუშეთის, ზნაურის, თელავის, თიანეთის, ლენინგორის, სტალინირის, ქლუხორის, ყაზბეგისა და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა—გროზნის ოლქის ზამთრის საძოვრებზე;

ბ) ახმეტის, თელავის, სიღნაღის, ყვარლისა და წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა—აზერბაიჯანის სსრ ზამთრის საძოვრებზე;

გ) ახმეტის, დუშეთის, თელავის, თეთრიწყაროს, თიანეთის, სიღნაღის, ყვარლისა და ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა—წითელწყაროს რაიონის ზამთრის საძოვრებზე;

დ) დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა—მარნეულის რაიონის იაღლუჯის ზამთრის საძოვრებზე.

3. წინადადება მიეცეს ამ ბრძანებულების 2 მუხლში აღნიშნულ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) თავის დროზე შექმნან ზამთრის საძოვრებზე საუბნო საარჩევნო კომისიები;

ბ) სამთაბარო ადგილებზე მყოფ მოსახლეობაში არჩევნების მოსაწყობად და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახმარებლად მიავლინონ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულები ვადით არჩევნების დამთავრებამდე;

გ) თავის დროზე შეადგინონ სამთაბარო ადგილებზე მოწყობილი საარჩევნო უბნების მიხედვით ამომრჩეველთა სიები და გამოაკრან ყველას გასაცნობად არა უგვიანეს 1950 წლის 16 ნოემბრისა;

დ) უზრუნველყონ საძოვრებზე მოწყობილი საარჩევნო უბნები საარჩევნო დოკუმენტების ფორმების ბლანკებით და მასალებით.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების რწმუნებულებსა და ზამთრის საძოვრებზე შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ხმის მიცემის შედეგები დაუყოვნებლივ აცნობონ დეპეშით სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებს და ამავე დროს გაუგზავნონ ხმის მიცემის ოქმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1950 წ. 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**160. საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის ასი წლის თავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

## საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. აბაშიძეს თამარ ასლანის ასულს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
2. ამირაჯიბს ეკატერინე გიორგის ასულს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
3. ბელაქნელს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს— საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
4. გვარაძეს ნიკოლოზ სოლომონის-ძეს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
5. გომელაურს ზაქარია ნიკოლოზის-ძეს —საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
6. დონაურს ელენე იოსების ასულს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
7. თაყაიშვილს სესილია დიმიტრის ასულს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
8. თოიძეს ალექსანდრა მოსეს ასულს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
9. კრავეიშვილს ბართლომე ირაკლის-ძეს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
10. ლაფაჩს ნინო იოსების ასულს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
11. ლუსინიანს არტემ ჰაიკის-ძეს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.
12. მიუფკეს კონსტანტინე კარლოს-ძეს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



13. სადარაძეს გიორგი ილარიონის-ძეს—საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

## საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. ანდრიაშვილს აკაკი კირილეს-ძეს—კომპოზიტორს.
2. ანდრონიკაშვილს კონსტანტინე იოსების-ძეს—რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რეჟისორს.
3. ასკურავას ივანე ალექსის-ძეს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარს.
4. ბჟიკიანს ფერდინანდ პავლეს-ძეს—სომხური დრამის თბილისის თეატრის მთავარ რეჟისორს.
5. ბუკიას ალექსანდრე იობის-ძეს—კომპოზიტორს.
6. ბუხნიკაშვილს გრიგოლ ვარდენის-ძეს—საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორს.
7. თავაძეს დიმიტრი მათეს-ძეს—რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვარს.
8. კერესელიძეს არჩილ პავლეს-ძეს—კომპოზიტორს.
9. კილოსანიძეს შალვა მიხეილის-ძეს—რეჟისორს.
10. კუკულაძეს კარლო ნოეს-ძეს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარს.
11. ლაპიაშვილს ფარნაოზ გიორგის-ძეს—რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვარს.
12. ლოკტინს ბორის ვლადიმერის-ძეს—გრიბოედოვის სახელობის თეატრის მხატვარს.
13. მაჭავარიანს ალექსი დავითის-ძეს—კომპოზიტორს.
14. მირცხულავას დიდიმ ლავრენტის-ძეს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორს.
15. სუმბათაშვილს იოსებ გიორგის-ძეს—მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მხატვარს.
16. ღვინიაშვილს გაბრიელ გაბრიელის-ძეს—გრიბოედოვის სახელობის თეატრის რეჟისორს.
17. ყაზბეგს ნიკოლოზ ივანეს-ძეს—სოხუმის თეატრის მხატვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ანდრონიკაშვილს მარგარიტა გიორგის ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კონცერტმეისტერს.
2. ახვლედიანს პლატონ მიხეილის-ძეს—თელავის თეატრის მსახიობს.
3. ბუბუტეიშვილს მარიამ აპოლონის ასულს—კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობს.
4. გარნელს (დარჩიას) ალექსანდრა გაბრიელის ასულს—ბათუმის დრამატიული თეატრის მსახიობს.
5. გოგაშვილს სოფიო ალექსანდრეს ასულს—მსახიობს.
6. დავითაშვილს მერი პეტრეს ასულს—მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს.
7. ეპიტაშვილს ელენე ალექსანდრეს ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობს.
8. ერგნელს მერი ალექსანდრეს ასულს—მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.
9. ერისთავს თამარ ანტონის ასულს—ზუგდიდის თეატრის მსახიობს.
10. ვაშაძეს მიხეილ სიმონის-ძეს—აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის თეატრის მსახიობს.
11. ზაქარიაძეს ბუხუტი ალექსანდრეს-ძეს—სოხუმის თეატრის მსახიობს.
12. ზახაროვას ვალენტინა ნიკოლოზის ასულს—გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობს.
13. კანდელაკს მერი გიორგის ასულს—ფოთის თეატრის მსახიობს.
14. კაჭკაჭიშვილს ალექსანდრე ალექსის-ძეს—მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.
15. კიკნაძეს გიორგი ჯიბოს-ძეს—რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს.
16. კიკნაძეს თამარ ივანეს ასულს—ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის მსახიობს.
17. კიროვას ჩარა აბრამის ასულს—კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



18. ლაპიაშვილს თამარ ვასილის ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობს.
19. მესხიშვილს ნინო ვლადიმერის ასულს—მსახიობს.
20. მეძმარიაშვილს ნუცა ნიკიფორეს ასულს—სანიტარული კულტურის თეატრის მსახიობს.
21. ნინონს ნინო ივანეს ასულს—კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის ქართული თეატრის მსახიობს.
22. პიასეცკის მავრ იაკობის-ძეს—გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობს.
23. ჟივიძეს იოსებ გრიგოლის-ძეს—მსახიობს.
24. სალარიძეს ვახტანგ დავითის-ძეს—ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობს.
25. სირბილაძეს ნადეჟდა ნესტორის ასულს—მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.
26. სპერანსკაიას ნადეჟდა სიმონის ასულს—გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობს.
27. სულთანიშვილს მიხეილ გიორგის-ძეს—მსახიობს.
28. ტრიპოლსკის იაკობ ვლადიმერის-ძეს—მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს.
29. ტუაევს ზურაბ ზურაბის-ძეს—კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის თეატრის მსახიობს.
30. ტყაბლაძეს გრიგოლ ტარასის-ძეს—მსახიობს, ჭიათურის თეატრის რეჟისორს.
31. ფალიაშვილს იულია ნიკოლოზის ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობს.
32. ფრონისპირელს (ყიფშიძეს) გიორგი გრიგოლის ძეს – გორის თეატრის რეჟისორს.
33. ყიფშიძეს (ანკარას) სოფიო ივანეს ასულს—მსახიობს.
34. შმალცელს ჰერტრუდა პეტრეს ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობს.
35. წიგნაძეს ვერა ვარლამის ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს.
36. ხაჯალიას შოთა ივანეს-ძეს—გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრის მსახიობს.
37. ხერხეულიძეს შალვა გიორგის-ძეს—გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრის მსახიობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



38. ხიჯაკაძეს ეკატერინე აპოლონის ასულს—ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობს.
39. ჯაბაურს გიორგი ნიკოლოზის-ძეს—მსახიობს.
40. ჯავახიშვილს ივანე ალექსანდრეს-ძეს—რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს.
41. ჯაფარიძეს მედეა ვალერიანის ასულს—მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1950 წ. 30 ოქტომბერი.

# ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, რომლებიც დანიშნულია ა. წ. 17 დეკემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1950 წ. 6 ოქტომბრის ბრძანებულებით დაამტკიცა „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისა". დებულება გამოქვეყნდა გაზეთებში „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" 1950 წ. 7 ოქტომბერს და დაიბეჭდა ცალკე ბროშურებად ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1950 წ. 19 ოქტომბრის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების საოლქო სარჩევნო კომისიის შემადგენლობა (ბრძანებულებები გამოქვეყნებულია „კომუნისტში" და „ზარია ვოსტოკაში" ა. წ. 20 ოქტომბერს).

1950 წ. 20 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" (ქალაქების: გორის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავისა და ჭიათურისათვის; გამოქვეყნებულია იმავე გაზეთებში 1950 წ. 21 ოქტომბერს), ხოლო ა. წ. 21 ოქტომბერს—ბრძანებულება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" (გამოქვეყნდა იმავე გაზეთებში ა. წ. 22 ოქტომბერს).

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 19 (32) 31 октября 1950 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА

ფასი 1 მ. და 50 კაპ.

სტამბის შეკ. № 1416 ტირ. 2000 უე 17291

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти" им. Л. П. Берия. Тбилиси, ул. Ленина, 14.